

შპს თოფიჩი

ს/ნ 412733617

მის. ქუთაისი ა.სინაურის ქ. N 6

ტ. 599983963

W 43

23 12 ----- 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის (ს/კ 412733617) მიერ დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში, შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1500,00 მ² ფართის მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 29.08.42.102).

შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნათლობისა და ნათობპროდუქტის, ნათობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

კახა შენგელია

შ.პ.ს. „თოფიჩი“-ის დირექტორი



**შპს „თოზიჩი“-ს
ავტობასამართი საღებური**

(წყალტუბოს რაიონი, სოფ. წყალტუბო, ს/კ №29.08.42.102)

სკრინინგის ანგარიში

2020 წელი

შინაარსი

1	შესავალი-----	3
2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა -----	4
2.1	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა -----	4
2.2	დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება -----	13
2.3.	საწარმოს ფუნქციონირების რეჟიმი -----	32
2.4	დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები -----	32
3.	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება -----	32
4	დანართები -----	36
	დანართი 4.1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -----	36
	დანართი 4.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან -----	38
	დანართი 4.3. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 12/02/2019 N2-03/1368 წერილი -----	40

1. შესავალი

შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს (ს/კ 412733617) მიერ დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში, შ.პ.ს. „თოფიჩი +“ -ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1500,00 მ² ფართის მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 29.08.42.102).

შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით მომზადდა სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოიცავს:

- ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

საქმიანობის განხორციელებილი (შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს) ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. შ.პ.ს. „თოფიჩი“-ის შესახებ ინფორმაცია

ობიექტის დასახელება	შპს "თოფიჩი "-ს ავტოგასამართი სადგური
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბო (ს/კ № 29.08.42.102)
იურიდიული	საქართველო, ქ.ქუთაისი, სინაურის ქუჩა №6
საიდენტიფიკაციო კოდი	412733617
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X: 301990 Y: 4685770
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	კახა შენგელია
ტელეფონი	(+995) 599-983-963
ელ-ფოსტა	topichi77@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	380,0 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	<ul style="list-style-type: none"> ▪ 47.30.1 - საცალო ვაჭრობა ბენზინით; ▪ 47.30.2 - საცალო ვაჭრობა დიზელის სათბობით.
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	---
საპროექტო წარმადობა	1. ბენზინი - 1,5 მლნ.ლ/წელ. 2. დიზელის საწვავი - 0,8 მლნ.ლ/წელ.
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	---
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო	---

საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა


შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს (ს/კ 412733617) მიერ დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია წყალტუბოს რაიონის სოფ წყალტუბოში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 500.0 მ² ფართის, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №29.08.42.102.)

მოცემულ მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1.1 (წერტილები ნომრების შესაბამისად იხ. ნახაზი 2.1.1).

ცხრილი 2.1.1. საპროექტო მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები

წერტ. N	X	Y
1	301989,235	4685789,34
2	302008,58	4685756,71
3	302026,2105	4685740,151
4	301994,1563	4685727,641
5	301975,31	4685761,89
6	301979,685	4685786,155

ნახაზი 2.1.1. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი



მისამართი		თარიღი:	ფართობი: 1500 კვ.მ.
დანიშნულება		კატეგორია:	კატეგორია:
<p>პირობითი ნიშნები</p> <p>ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი არაფიქსირებული შენობა, შენობის ნიშნის/სართულიანობა</p> <p>ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი ფიქსირებული შენობა, შენობის ნიშნის/სართულიანობა</p> <p>შეწვებარე ნაგებობა</p> <p>სერვიტუტი</p> <p>დანგრეული ნაგებობა</p> <p>გზა</p> <p>შესაზღვრე ნაკვეთის ნიშნული</p>		<p>სახობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიღრმე: მეტრი</p> <p>სახობრივი ნაგებობის გვერდობრივი სიღრმე: მეტრი</p> <p>სახობრივი ნაგებობის წრტილოვანი ობიექტი: რაოდენობა</p> <p>bachoxaraishvili123@gmail.com</p> <p>ქ. თბილისი, ხანაპირის ქუჩა №2ა ტელ: +995 558 424 525</p> <p>საკადასტრო აღწერას უკლებამოსილი პირი:</p> <p>დანიტერესებული პირი:</p> <p>შენიშვნა: საზღვრები დადგენილია დამკვეთის მითითებით</p>	


სკრინინგის ანგარიშის დანართის სახით ასევე წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

საკვლევი ტერიტორიის ხოლო სიტუაციური გეგმა წარმოდგენილია ნახაზზე 2.1.2, ხოლო ადგილმდებარეობის აეროთანამგზავრული მონაცემები ნახაზზე 2.1.3.

ნახაზი 2.1.2. საკვლევი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა



ნახაზი 2.1.3. საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის აეროთამგზავრული მონაცემები



წყარო: <http://maps.napr.gov.ge>

საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი დასახლებული პუნქტია - სოფ. თერნალი, რომელიც მდებარეობს ამ ტერიტორიის სამხრეთის მიმართულებით. მინიმალური მანძილი დასახლებულ პუნქტმდე შეადგენს დაახლოებით 380 მ-ს (იხ. საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის აეროფოტო ნახაზზე 2.1.3).

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის განთავსების რაიონის ჰიდროლოგიური ქსელი წარმოდგენილია მდ. გუბისწყალის წყალშემკრები აუზით. მდ. გუბისწყალი გაედინება ავტოგასამართი სადგურიდან სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 3,27 კმ--ს მანძილზე.

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის უშუალოდ დასავლეთის საზღვართან გადის შიდასახელმწიფოებრივი კატეგორიის ქუთაისი - წყალტუბო -ცაგერი - ლენტეხი - ლასდილის საავტომობილო გზა (შ-15).

საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა შესახებ მოძიებული მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ ნახაზზე 2.1.4 და ცხრილში 2.1.2-ში.

ნახაზი 2.1.4. საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ნაკვეთების/სივრცეების საზღვრები



ცხრილი 2.1.2. მონაცემები საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ

№	ნაკვეთის საკადასტრო კოდი	ზონა	სექტორი	კვარტ.	ნაკვეთი	მისამართი	ნაკვეთის დანიშნულება	ნაკვეთის ფართობი, კვ.მ.	მესაკუთრე	საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილი, მ
აღმოსავლეთი										
01	29.08.42.011	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	011	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო (სახნავი)	1451.00	გურამ კაკრიაშვილი, პ/ნ: 53001002637	24,0
02	29.08.42.012	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	012	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო (სახნავი)	1131.00	გოგი მუშკუდიანი , პ/ნ: 53001045396	12,0
03	29.08.42.015	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	015	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო (სახნავი)	1210.00	მარი ჩირგამე, პ/ნ: 53001033138	15,0
04	29.08.42.016	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	016	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო (სახნავი)	1845.00	ქეთევან ზურაბიანი, პ/ნ: 60001028017	13,0
05	29.08.42.078	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	078	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო	1266.00	ვახტანგი გორდულაძე, პ/ნ: 53001041575	7,0
05	29.08.42.079	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	079	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	სასოფლო- სამეურნეო	130.00	ვახტანგი გორდულაძე, პ/ნ: 53001041575	10,0
ჩრდილოეთი										
06	29.08.42.112	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	112	წყალტუბოს რაიონი, წყალტუბო- ქუთაისი გზის მიმდებარედ	არასასოფლო- სამეურნეო	1427.00	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ID ნომერი:221274546	34,0
07	29.08.41.876	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	41	876	წყალტუბოს რაიონი, სოფ. თერნალი	არასასოფლო- სამეურნეო	18432.00	სახელმწიფო	0
დასავლეთი										
08	29.08.42.076	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	076	წყალტუბოს რაიონი, წყალტუბო- ქუთაისი გზის	სასოფლო- სამეურნეო	10000.00	იაგო მხეიძე, პ/ნ: 60001012285	24,0

						მიმდებარედ				
09	29.08.42.077	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	077	წყალტუბოს რაიონი, წყალტუბო- ქუთაისი გზის მიმდებარედ	სასოფლო- სამეურნეო	10000.00	იაგო მხეიძე, პ/ნ: 60001012285	36,0
სამხრეთი										
10	29.08.42.103	29 წყალტუბო	08 ქ.წყალტუბო	42	103	წყალტუბოს რაიონი, სოფ. წყალტუბო	სასოფლო- სამეურნეო (სახნავი)	3500.00	გიორგი დანგაძე, პ/ნ: 53001054628	0

წყარო : <http://napr.gov.ge>

საკვლევ ნაკვეთზე საინჟინრო გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების დასადგენად ჩატარდა საინჟინრო- გეოლოგიური კვლევები და საპროექტო შენობის კონტურის ფარგლებში გაყვანილი იქნა 3.5 მ-დე სიღრმის შურფები, რომლის მიხედვითაც დადგენილი იქნა უზნის ლითოლოგიური აგებულება (მონაცემები იხ. ცხრილი 2.1.3).

ცხრილი 2.1.3

შურფი №1

შურფების ლითოლოგიური რასასაფუბა	შურფები ნაღრმევა	ფენის სიმაღლა- ვრცე	ფენის ნიშნული
1	2	3	4
99.75	0.5	0.5	99.25
3.3		2.8	96.45

შურფი №2

1	2	3	4
100.20	0.4	0.4	99.80
3.0		2.6	97.20




შურფი №3

1	2	3	4
100.25	0.6	0.6	99.65
3.0		2.4	97.25

შურფი №4

1	2	3	4
99.80	0.5	0.5	99.30
3.5		3.0	96.30

პირობითი ნიშნები

 ზედაპირული ნიადაგი
 ღია ყავისფერი ალუვიური თიხა
 ღია ყავისფერი ალუვიური თიხა

ზედაპირული წონა მგ/მ ³	სანტარეო წონა მგ/მ ³	დაქანების კუთხე	კატეგორია
1800	1.8	20	III
1800	1.8	20	III

საინჟინრო გეოლოგია. შპს "თროვინი"-ს წყალტუბორს მუნიციპალიტეტი სოფ. წყალტუბო. საპროექტო ობიექტის შურფების ლითოლოგიური დახასიათება

ჩატარებული საინჟინრო- გეოლოგიური კვლევების საფუძველზე აღინიშნება:

- რელიეფი წარმოადგენს სწორ ადგილს;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით მიწის ნაკვეთი იმყოფება კარგ საამშენებლო მდგომარეობაში, იგი წარმოადგენილია ღია ყავისფერი თიხნარებით;
- საკვლევ ნაკვეთზე უარყოფით ფიზიკურ პროცესებს ადგილი არ აქვს;
- ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით საკვლევ ნაკვეთზე გრუნტის წყლების გამოვლენას ადგილი არ აქვს;
- სეისმურობის მიხედვით საკვლევ უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სისტემას.

საწარმოსათვის შერჩეული ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი. ტერიტორია ფაქტიურად მოხრეშილია.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მრავალწლოვანი ხე-მცენარეული საფარი და არც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ასევე, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები

უახლოსი დაცული ტერიტორია - სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 5,12 კმ--ს მანძილზე.

საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს.

საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. ტერიტორიის მრავალწლიანი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის შესაძლებლობაც ძალზედ მცირეა. საქმიანობის პროცესში რაიმე არტეფაქტის გვიანი გამოვლენის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად ვალდებულია შეწყვიტოს სამუშაოები მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

დაგეგმილი საქმიანობიდან და დაცილების მანძილიდან გამომდინარე შავ ზღვაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წყალტუბოს რაიონის სოფ წყალტუბოში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 500.0 მ² ფართის, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №29.08.42.102.) შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე თანხმობისა და პირობების შესახებ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 12/02/2019 N2-03/1368 წერილი წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართში 4.3

2.2. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება

საწარმო მიმდინარე საქმიანობის დროს განახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს [1] განმარტებების მიხედვით ავტოგასამართი სადგური, ეს არის ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას, აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებას.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს [1] მიხედვით საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური მოედნები:

- სასაწყობო მოედანი- ტექნოლოგიური მოედანი, რომელიც განკუთვნილია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტის შესანახად განკუთვნილი სტაციონარული ჭურჭელის - რეზერვუარების (მიწისქვეშა) განსათავსებლად. დაგეგმილია 3 ჰორიზონტალური, სტაციონალური რეზერვუარის (მიწისქვეშა) განთავსება მ.შ. 1 რეზერვუარი ბენზინის საწვავისათვის და 2 რეზერვუარი დიზელის საწვავისათვის. აღნიშნული ბენზინის საწვავის რეზერვუარი დაყოფილია 3 ნაწილად (2 ცალი 25მ³ და 1 ცალი 10 მ³ მოცულობის), ხოლო დიზელის საწვავის (2 ცალი თითოეული 16მ³ მოცულობის). რეზერვუარების თითოეული განყოფილება აღჭურვილია სასუნთქი 3,5 მ სიმაღლის და 0,05 მ დიამეტრის მილებით და სარქველებით.
- ავტოცისტერნის მოედანი – ტექნოლოგიური მოედანი, რომელიც განკუთვნილია ავტოგასამართ სადგურზე ჩამოსხმის ოპერაციების დროს ავტოცისტერნის დასაყენებლად;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასამართი მოედანი – ტექნოლოგიური მოედანი, რომელიც განკუთვნილია გასამართი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასაყენებლად;
- მარიგებელი ნაკვეთური – ტექნოლოგიური მოედანი, რომელიც განკუთვნილია მარიგებელი სვეტის დასაყენებლად.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ასევე აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით, დაგეგმილია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული შენობა/ნაგებობები :

- საოპერატორო შენობა - შენობა (ნაგებობა), რომელიც განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვის მომსახურებისთვის;
- მარიგებელი სვეტები - მომხმარებელზე ნავთობპროდუქტის მოცემული დოზის გასაცემად განკუთვნილი მარიგებელი სვეტები და მ.შ. ბენზინის საწვავის მარიგებელი 1 სვეტი (საწვავის ჩასასხმელი 3 მილით) და დიზელის საწვავის მარიგებელი 1 სვეტი (საწვავის ჩასასხმელი 2 მილით);
- მძღოლებისა და მგზავრების მომსახურების შენობა (ნაგებობა) – შენობა (ნაგებობა), რომელიც განკუთვნილია მძღოლებისა და მგზავრების მომსახურებისთვის (სათადარიგო ნაწილების, აქსესუარების მაღაზია, კვების ობიექტი, სანკვანძი).

[1] - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“ (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 310.150.000.22.024.012.464).

ავტოგასამართი სადგურის გენგეგმა წარმოდგენილია ქვემოთ ნახაზზე 2.2.1, საპროექტო ობიექტის სურათი წარმოდგენილია სურათზე 2.2.1, ხოლო საპროექტო შენობების ნახაზები წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.2.


ნახაზი 2.2.1. ავტოგასამართი სადგურის გენგეგმა



სურათი 2.2.1. საპროექტო ობიექტის შენობა



ნახაზი 2.2.2. საპროექტო შენობები




ფასადი „1-5“ ღერძებს შორის - ხაზი ბ-ბ (საერთო ხაზი)
 შ 1:100




შ.პ.ს „მეგობრობა 96“		დამკვეთი: შ.პ.ს „თიფიზი“	
დირ.	ი.იოსელიანი	წყალტუბო სოფ.წყალტუბო	ფურც. ა-1 2019
არქ.	ი.იოსელიანი		


ფასადი „3-2 - 3-1; 4-1“ ღერძებს შორის ხაზი „გ-გ“ საერთო ხაზი
 შ 1:100



შ.პ.ს „მეგობრობა 96“		დამკვეთი: შ.პ.ს „თიფიზი“	
დირ.	ი.იოსელიანი	წყალტუბო სოფ.წყალტუბო	ფურც. ა-1 2019
არქ.	ი.იოსელიანი		




შენობის სტრუქტურული ნახაზი
01:100




შ.პ.ს „მეგობრობა 96“		დამკვეთი: შ.პ.ს „ოფიცი“	
დირ.	ი.ოსელიანი	წყალტუბო	ფურც. ა-1
არქ.	ო.ოსელიანი	სოფ.წყალტუბო	2019

ფასადი ხაზი „ღ-ღ“




შ.პ.ს „მეგობრობა 96“		დამკვეთი: შ.პ.ს „თოფიანი“	
დირ.	ი.იოსელიანი	წყალტუბო	ფურც. ა-1
არქ.	ო.იოსელიანი	სოფ.წყალტუბო	2019

ფასადი ხაზი „თ-თ“



შ.პ.ს „მეგობრობა 96“		დამკვეთი: შ.პ.ს „თოფიანი“	
დირ.	ი.იოსელიანი	წყალტუბო	ფურც. ა-1
არქ.	ო.იოსელიანი	სოფ.წყალტუბო	2019



მიწის ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენს 1500,0 კვ.მ-ს, საპროექტო შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 257 კვ.მ-ს, განაშენიანების კოეფიციენტი $k-1 = 0,45$, საპროექტო შენობის მაქსიმალური სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან 5,9 მეტრი. გამწვანების კოეფიციენტი $k-3 = 0$.

პროექტის მიხედვით, ახალი საწარმოს სამშენებლო სამუშაოებისა და დანადგარ-მოწყობილობის სამონტაჟო სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია 3 თვის ვადაში, მათ შორის სამშენებლო სამუშაოები შესრულდება 2 თვის ვადაში, ხოლო დანადგარ-მოწყობილობის სამონტაჟო და გამწვებ-გამმართავი სამუშაოები 1 თვის ვადაში, სადაც ასევე შედის საწარმოს საცდელი გაშვების ვადა. ამ ვადაში მოხდება საწარმოს მუშაობის დარეგულირება, დანადგარ-მოწყობილობის მახასიათებლების დადგენა, ხარვეზების გამოსწორება, მომსახურე პერსონალის მომზადება და სხვა.

პროექტის მასშტაბებიდან გამომდინარე სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამშენებლო მასალების და დანადგარ-მოწყობილობის დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ უბანზე. ასეთი გადაწყვეტა გამორიცხავს საპროექტო ტერიტორიის გარეთ ახალი ტერიტორიის ათვისების საჭიროებას, შესაბამისად ამცირებს გარემოზე ზემოქმედების რისკებს.

ასევე არ არის გათვალისწინებული მშენებლობაში დასაქმებული პერსონალისთვის საცხოვრებელი ბანაკის განთავსება, რადგანაც საწარმოს მშენებლობის ფაზაზე დასაქმებულთა დაახლოებით 80-90% იქნება ადგილობრივი და ეს პერსონალი ღამეს გაათევს უახლეს დასახლებულ პუნქტებში. რის გამოც მათი ტრანსპორტირება გათვალისწინებულია ორგანიზებულად, ავტობუსების მეშვეობით.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები გარესამოედნო მოსამზადებელი სამუშაოებს არ მოიცავს იგი ძირითდად მოიცავს შიდასამოედნო მოსამზადებელ სამუშაოებს.

საწარმო განთავსების ტერიტორიაზე ხე-მცენარეები ფაქტიურად არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე მცენარეული საფარის გასუფთავების კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოების წარმართვა არ იქნება საჭირო.

საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის უშუალოდ დასავლეთის საზღვართან გადის შიდასახელმწიფოებრივი კატეგორიის ქუთაისი - წყალტუბო -ცაგერი - ლენტეხი - ლასდილის საავტომობილო გზა (შ-15), ამიტომ ახალი გზების გაყვანა და მისასვლელი გზების მოწესრიგება გათვალისწინებული არ არის.

სამშენებლო მოედნის ელექტროენერგიით მომარაგება გათვალისწინებულია არსებული ქსელიდან, დროებითი სქემის გამოყენებით.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში წყლის გამოყენება საჭირო იქნება როგორც სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე ტექნიკური მიზნებისათვის წყლით მომარაგება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი (წყალსარგებლობაზე შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე) ჭაბურღილის წყლით, სადაც მოეწყობა წყლის მიწოდების დროებითი სისტემა. აღნიშნული ჭაბურღილი პროექტის მიხედვით შემდგომ ოპერირების ფაზაზე გამოყენებული იქნება საწარმოს წყალმომარაგებისათვის.

სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის გათვალისწინებულია ბიოტულალებების ან/და ჰერმეტიული საასენიზაციო რეზერვუარის მოწყობა.

სამუშაო დღეთა რაოდენობის გათვალისწინებით, საასენიზაციო რეზერვუარის ან/და ბიოტულალების განტვირთვა მოხდება დაახლოებით თვეში სამჯერ.

მოსამზადებელ ეტაპზე მიწის სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს შენობა-ნაგებობების და დანადგარების საძირკვლების და ადგილობრივი წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მოწყობა, სხვა მიწის სამუშაოები ტერიტორიაზე არ იგეგმება

საკვლევ ტერიტორიაზე ნიადაგის ბუნებრივი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან საპროექტო ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობა. დღეისათვის ტერიტორიის ძირითადი უბანი დაფარულია ხრებით, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს თუმცა, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაკვალვითი სამუშაოების დროს დასაშვებად არის მიჩნეული რომ აღმოჩნდეს მცირე ზომის უბნები, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სუსტად არის წარმოდგენილი, ამიტომ იქ სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურების საფრთხე იქნება აუცილებელია მოიხსნას ის და დასაწყობდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა შემდეგ გამოყენებული იქნეს სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო საწარმოს მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის სახიფათო და არა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

არასახიფათო ნარჩენებიდან აღსანიშნავია:

- ინერტული და სამშენებლო მასალების ნარჩენები;
- ლითონების ჯართი;
- ელექტროსადენების ნარჩენები;
- ხის მასალების ნარჩენები;
- მცენარეული ნარჩენები;
- შესაფუთი მასალები;

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვა.

სახიფათო ნარჩენებიდან მნიშვნელოვანია:

- ნავთობით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი მასალები- 5-10 კგ;
- საღებავების ნარჩენები და ტარა - 10-15 კგ;
- ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის დროს დიდი რაოდენობით ნარჩენების დაგროვება არ არის მოსალოდნელი. მაინც საჭიროა მოხდეს ნარჩენების დახარისხება მათი სახეობის მიხედვით. მათი თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება შემდგომი მართვის მიზნით. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედნებზე დაიდგმება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები.

მიწის სამუშაოების დროს ამოღებული მიწის ნარჩენების უმეტესი ნაწილი (ძირითადად ღორღის შემცველი ფენა) გამოყენებული იქნება საძირკვლების შესავსებად და ასევე შიდა გზებსა და ტერიტორიაზე ღრმულების შესავსებად. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება დროებით ნაყარების სახით და შემდგომ გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოების შესრულებისათვის. საძირკვლების შევსების შემდგომ დარჩენილი ინერტული მასალები უმნიშვნელო რაოდენობის იქნება და იგი გამოყენებული იქნება გზების ვაკისების მოსასწორებლად.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი ხელმეორედ გამოყენებისათვის უვარგისი ლითონის ჯართი ჩაბარდება სათანადო ნებართვის მქონე ჯართის მიმღებ პუნქტებში.

მშენებლობის დროს გამოყენებული იქნება სხვა დაქირავებული კონტრაქტორის სპეცტექნიკისა და სამშენებლო მანქანები, ამიტომ საბურავების, ნახმარი ზეთების და სხვა ცვეთადი ნაწილების ნარჩენების მოვლა პატრონობა დაქირავებული კონტრაქტორის კომპეტენციაა.

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების საშუალებით.

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების და მცირე რაოდენობით არასახიფათო შესაფუთი მასალების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება სახურავიანი კონტეინერები. გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე.

მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დაბინძურების ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებულია მიდგომა, სადაც გათვალისწინებულია ტიპური სამშენებლო ტექნიკის ფუნქციონირება.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შესაძლოა მოხდეს სპეცტექნიკისა და სამშენებლო მანქანების ძრავებიდან გამონაბოლქვით, საშემდგომლო საქმიანობისას შედუღებისას გამოყოფილი აეროზოლებით და მანქანების მოძრაობისას წარმოქმნილი მტვერით.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იქნება ხანმოკლე და დროებითი და იგი დასრულდება ფაქტიურად მიწის სამუშაოების დასრულებისთანავე. მოცემულის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოებში მძიმე ტექნიკის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ინტენსიური და ხანგრძლივი გამოყენება არ მოხდება, ამასთან, საწარმოს მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-მოწყობის დროს ჩასატარებელი სამუშაოების მცირე მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ხანმოკლე და დროებითი ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

აღნიშნულის მიუხედავად ემისიების მინიმუმამდე დაყვანისა და ისეთი სახის ზემოქმედების შემცირებისათვის, როგორცაა ადამიანის (ძირითადად მომსახურე პერსონალი) შეწყობა და მის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედება, საწარმოს სამშენებლო-სამონტაჟო პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით 3 თვე) გათვალისწინებულია ზოგიერთი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

- ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე);
- მაქსიმალურად შეიზღუდოს დასახლებულ პუნქტებში გამავალი საავტომობილო გზებით სარგებლობა;
- სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა);
- სამუშაო უბნების და გზის ზედაპირების მორწყვა;
- ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას მანქანების ძარის სათანადო გადაფარვა;
- ადვილად ამტვერებადი მასალების ქარით გადატანის პრევენციის მიზნით, მათი დასაწყობების ადგილებში სპეციალური საფარის გამოყენება ან მორწყვა;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი;
- საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ავტოგასამართ სადგურზე რეალიზაციისთვის საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით და გადატანილი იქნება მიწისქვეშა რეზერვუარებში შენახვის მიზნით. აღნიშნული რეზერვუარებიდან ტექნოლოგიური მილსადენით საწვავი მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც შემდგომ მოხდება ავტომანქანების საწვავით გამართვა. საწვავის გაცემა ხდება ავტომანქანის ავზებში საწვავის მარიგებელი სვეტიდან საწვავის ჩასასხმელი მილებით ჩასხმისას.

საწარმოს საქმიანობისას (საწვავის მიღება, შენახვა და გაცემა) ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში, მათ შორის:

1. გაფრქვევები რეზერვუარებიდან:

- რეზერვუარებში ჩასხმისას ნავთობპროდუქტების ორთქლის ხანმოკლე გაფრქვევები ე.წ. „დიდ სუნთქვა“, რაც დაკავშირებულია ნავთობპროდუქტის ავტოცისტერნიდან რეზერვუარებში ჩასხმასთან (როგორც წესი, ამ დროს გაფრქვევის სიმძლავრე მაქსიმალურია);
- ნავთობპროდუქტების შენახვისას აორთქლება რეზერვუარებიდან ე.წ. “მცირე სუნთქვა”, რომელსაც ადგილი აქვს მთელი წლის განმავლობაში.

2. ავტომანქანის ავზებში საწვავის ჩასხმისას ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევები.

საწარმოს საქმიანობისას (საწვავის მიღება, შენახვა და გაცემა) ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნახშირწყალბადები.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნივთიერებათა მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 2.2.1

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
ნახშირწყალბადები	0401	1,000	-	4

ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღება-შენახვა და გაცემის (ავტომატების გამართვისას) დროს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის მეთოდის [2] ითვალისწინებს ჯამური ნახშირწყალბადების (0401) გაფრქვევის რაოდენობის დადგენას ხვედრითი გაფრქვევის კოეფიციენტით, რომლის დანართი 98-ის თანახმად 1 ლ ბენზინის (1000,0 ლიტრი ბენზინის მასა ტოლია 0.730 ტ-ის) მიღება-შენახვა და გაცემის დროს ატმოსფეროში გაიფრქვევა 1,4 გ ნახშირწყალბადები (ჯამურად). 1 ლ დიზელის საწვავის 1000,0 ლ დიზელის მასა ტოლია 0,8 ტ-ის) რეალიზაციისას გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები (ჯამურად).

სარკოფაგში განთავსებულია ბენზინისათვის 3 განყოფილებიანი 1 რეზერვუარი და დიზელის საწვავისათვის - 2 განყოფილებიანი 1 რეზერვუარი. რეზერვუარების თითოეული განყოფილება აღჭურვილია სასუნთქი მილებით და სარქველებით. მოწყობილია საწვავის მარიგებელი 2 სვეტი (საწვავის ჩასასხმელი 4 მილით).

საწარმოს ბიზნეს გეგმით დაგეგმილი აქვს საშუალოდ 1,5 მლნ ლიტრი ბენზინის და 0,8 მლნ ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია წელიწადში.

გაფრქვევების ანგარიში ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან. ბენზინის ორთქლის გაფრქვევებს ადგილი აქვს ბენზინის რეზერვუარის 3 განყოფილებიდან და 1 საწვავის მარიგებელი სვეტის 2 მილიდან.

ნახშირწყალბადების (ჯამური) გაფრქვევების რაოდენობები (გ/წმ და ტ/წელ) ტოლი იქნება:

$$M = 1\,500\,000,0 \text{ ლ} * 1,4 \text{ გ} * 10^{-6} = 2,100 \text{ ტ/წელ.}$$

$$G = 2,100 \text{ ტ/წელ} * 10^6 / (365 * 24 * 3600) = 0,067 \text{ გ/წმ.}$$

გაფრქვევები ანგარიში დიზელის სარეალიზაციო უბნიდან. დიზელის ორთქლის გაფრქვევებს ადგილი აქვს დიზელის რეზერვუარის 2 განყოფილებიდან და 1 საწვავის მარიგებელი სვეტის 2 მილიდან.

ნახშირწყალბადების (ჯამური) გაფრქვევების რაოდენობები (გ/წმ და ტ/წელ) ტოლი იქნება:

$$M = 1\,500\,000,0 \text{ ლ} * 1,4 \text{ გ} * 10^{-6} = 2,100 \text{ ტ/წელ.}$$

$$G = 2,100 \text{ ტ/წელ} * 10^6 / (365 * 24 * 3600) = 0,067 \text{ გ/წმ.}$$

გაფრქვევები ანგარიში დიზელის სარეალიზაციო უბნიდან. დიზელის ორთქლის გაფრქვევებს ადგილი აქვს დიზელის რეზერვუარის 2 განყოფილებიდან და 1 საწვავის მარიგებელი სვეტის 2 მილიდან.

ნახშირწყალბადების (ჯამური) გაფრქვევების რაოდენობები (გ/წმ და ტ/წელ) ტოლი იქნება:

$$M = 800\,000,0 \text{ ლ} * 0,0025 \text{ გ} * 10^{-6} = 0,002 \text{ ტ/წელ.}$$

$$G = 0,002 \text{ ტ/წელ} * 10^6 / (365 * 24 * 3600) = 6,34 * 10^{-5} \text{ გ/წმ.}$$

[2] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 435 დადგენილება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური წლიური რაოდენობა შეადგენს 2,102 ტონას, მაქსიმალური გაფრქვევები - 0,067 გ/წმ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწვავის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ზედაპირის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს. ამასთანავე, რეზერვუარების თითოეული განყოფილება აღჭურვილია სასუნთქი მილებით და სარქველებით, ამიტომ ავტოგასამართი სადგურიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ემისის მცირე მოცულობისაა და ფაქტიურად ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

დაგეგმილი საქმიანობის ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრისათვის ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- შეირჩევა საანგარიშო წერტილები დასაცავი ტერიტორიის საზღვარზე;
- განისაზღვრება ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე და სრულდება გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავი და ა.შ.);
- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;
- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} \quad (2.2.1)$$

სადაც:

L_{pi} – არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეების L -ს (დბა) განსაზღვრა ხდება საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით. საანგარიშოდ გამოიყენება ფორმულა:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega \quad (2.2.2)$$

სადაც:

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

βa – ატმოსფეროში ბგერის მიღვეადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, H_3C .	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
βa დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ზემოთ მოცემული ფორმულით;

2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესავსებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება;

3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\beta_{\text{საშ}}=15,9$ დბ/კმ;

საწარმოს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობის ეტაპი დაახლოებით 3 თვის მანძილზე გაგრძელდება. ამ პერიოდის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოების მცირე მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოებში მძიმე ტექნიკის და ხმაურის ემისიების სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ინტენსიური გამოყენება არ მოხდება. ამასთან, საწარმოს მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-მოწყობის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

ექსპლუატაციის ეტაპზე საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება განსხვავებული ტიპის ხმაურის წყაროები და შესაბამისად იცვლება ხმაურის დონე გენერაციის ადგილზე.

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულება.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული და ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე საწვავის მარიგებელი სვეტები და სხვა დანადგარები.

საკასპორტო და საცნობარო მონაცემებით, ცალკეული დანადგარების ხმაურის მაქსიმალური დონე არ აღემატება 85 დბა-ს. ამის გათვალისწინებით, საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით, ყველა ამ დანადგარის ერთდროული მუშაობისას საწარმოო ტერიტორიაზე ხმაურის ჯამური დონე შეადგენს:

$$101\text{g} \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = L_{p0} + 101\text{g}n = 85\text{დბა} + 1\text{g}5 = 85 + 0,7 \approx 85,7 \text{ დბა.}$$

საწარმოო ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების სქემის მიხედვით, ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა დაცილებულია დაახლოებით 380 მ-ით.

საანგარიშო წერტილებში ხმაურის დონეები იქნება:

$$L = L_p - 15lgr + 10l\Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10l\Omega = 85,7 - 15 \cdot 1g380 + 10 \cdot 1g2 - 15,9 \cdot 380/1000 - 10 \cdot 1g2 \pi = 85,7 - 38,7 + 3,0 - 3,98 - 6,04 = 39,98 \text{ დბა}$$

გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 2.2.2.

ცხრილი 2.2.2. ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები

ძირითადი მომუშავე მანქანა- მოწყობილობები	საანგარიშო წერტილი	ხმაურის ექვ. დონე გენერაც. ადგილზე, დბა	ხმაურის ექვ. დონე საანგ. წერტილში, დბა	ნორმა, დბა*
<ul style="list-style-type: none"> • 1 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა; • 1 ჩამტვირთველი; • ცემენტის ქარხნის სხვადასხვა აგრეგატები. 	380 მ-იანი ზონის საზღვარი	85,7	39,98	დღის საათებში - 50 დბა. ღამის საათებში - 40 დბა

*- „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის №398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

გათვლების მიხედვით საწარმოს ოპერირების შედეგად დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე არ აჭარბებს როგორც დღის საათებისთვის დადგენილი ნორმებს (50 დბა), ასევე ღამის საათებისთვის დადგენილ ნორმებს (40 დბა).

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებები ჩატარებულია ყველაზე უარესი სცენარით. ანუ გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ის გარემოებები, რაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, კერძოდ:

- ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში გამოყენებულია საუკეთესო აკუსტიკური მახასიათებლის დანადგარები;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;
- გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ეკრანები, რომლებიც ხმაურის გავრცელებას კიდევ უფრო შეამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

„ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს [1] მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია რომ ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი უნდა იყოს წყალმომარაგების სისტემით და სანიაღვრე კანალიზაციით. კანალიზაციის ჭების სისუფთავეზე დაწესებულ უნდა იქნეს კონტროლი, რათა გამოირიცხოს მათი გასასვლელების დაღამვა. გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

ვინაიდან საწარმოს სიახლოვეს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელები არ არსებობს, ამიტომ ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო წყალაღება

განხორციელდება საკუთარი ჭაბურღილიდან, რომლის მოწყობაც დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, წყალსარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და სახანძრო უსაფრთხოებისთვის.

სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის ამოცანების გადასაწყვეტად დაგეგმილია ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაბინძურებული წყლების შეკრების და არინების დამოუკიდებელი სადრენაჟო სისტემის მოწყობა. ეს სისტემა უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების შეგროვებას, ხოლო შეგროვებული საწარმოო-სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობაში ორასფეხურიანი (I საფეხურის სალექარში და II საფეხურის ფილტრში) გაწმენდის შემდეგ, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებთან ერთად წყლები აკუმულირდება 5,0 მ³ მოცულობის ჰერმეტიკულ საასენიზაციო რეზერვუარში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად კლასიფიცირებული მოცემული თხევადი ნარჩენის კოდია: 16 10 01* (წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს).

ვინაიდან საწარმოს სიახლოვეს კანალიზაციის ქსელი არ არსებობს, აღნიშნული ნარჩენები (ნარჩენის კოდით: 16 10 01* (წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) შემდგომი მართვის მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას, რეზერვუარის განტვირთვა მოხდება პერიოდულად და ეს ნარჩენები გაიტანება ამ ორგანიზაციის სპეცმანქანის მეშვეობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე საწვავის ჩამოსასხმელი სვეტები განთავსდება დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, რაც შეამცირებს ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკს. ამასთანავე, არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მოწყობილია ასფალტის საფარით, ხოლო საწვავის გასაცემი სვეტების გარე პერიმეტრზე გათვალისწინებულია დაღვრილი საწვავის შემკრები არხების მოწყობა, რომელიც დაერთებული იქნება ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაბინძურებული წყლების შეკრების და არინების დამოუკიდებელ სადრენაჟო სისტემასთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების სალექარშიდალექვის შემდეგ, ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა.

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო მთელი ტერიტორია იქნება მოასფალტირებული, ამიტომ ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკი მინიმალურია.

მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები საწარმოს ტერიტორიიდან ფაქტიურად არ არსებობს, რადგან მთელი ტერიტორია იქნება მოასფალტირებული, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

ნარჩენების მართვა. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია მათ ტერიტორიაზე შემდეგის სახის ნარჩენების წარმოქმნა:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- საწარმოო ნარჩენები.

მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, ძირითადად ესაა:

- შერეული მუნიციპალური ნარჩენები კოდით -20 03 01;
- ფლურესცენციული მილები კოდით-20 01 21*.

საწარმოს ექსპლუატაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს [1] ნავთობპროდუქტის ჩასასხმელად რეზერვუარების მომზადება უნდა მოხდეს ამ წესის მე-6 დანართში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

წესების [1] დანართი 6. რეზერვუარის მომზადება ნავთობპროდუქტის ჩასასხმელად

№	ჩასასხმელი ნავთობპროდუქტის დასახელება	ადრე ჩასხმული ნავთობპროდუქტის დასახელება				
		საავტომობილო ეთილირებული ბენზინი	საავტომობილო არაეთილირებული ბენზინი	დიზელის საწვავი	ძრავას ზეთი	ნავთი
1	საავტომობილო ეთილირებული ბენზინი	4	4	3	0	4
2	საავტომობილო არაეთილირებული ბენზინი	1	4	3	0	4
3	დიზელის საწვავი	1	2	4	1	4
4	ძრავას ზეთი	3	3	4	4	4
5	ნავთი სანათი და ტექნიკური მიზნებისათვის	1	3	4	0	4

პირობითი აღნიშვნები: 0 – ჩასხმა აკრძალულია; 1 – უნდა მოცილდეს ნარჩენი, გაირეცხოს ცხელი წყლით სარეცხი ნივთიერების ან გამხსნელის გამოყენებით, შემდეგ ჩაირეცხოს ცხელი წყლით და გამოშრეს ძირი; 2 – უნდა მოცილდეს ნარჩენი, ჩაირეცხოს ცხელი წყლით და გამოშრეს ძირი; 3 – უნდა მოცილდეს ნარჩენი; 4 – გაწმენდა არ ესაჭიროება (ნარჩენი არ უნდა აღემატებოდეს რეზერვუარის ტევადობის 0,25 %-ს).

შესაბამისად რეზერვუარები ექვემდებარება პერიოდულ გაწმენდას და ბენზინისა და დიზელის საწვავის შესანახი რეზერვუარების გაწმენდის დროს წარმოიქმნება ნავთობის შემცველი ნარჩენები კოდით - 16 07 08*.

საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები“-ს 50-ე მუხლის 34-ე პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად ავტოგასამართ სადგურებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს ქვიშით, ხოლო გაჟღენთილი ქვიშა და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა მოთავსდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფებიან ლითონის ყუთებში და სამუშაო დღის დასრულებისთანავე გატანილ იქნეს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან. ამავე წესის დანართი 3-ის (სავალდებულო) პუნქტების 25 - 26-ის მიხედვით განსაზღვრულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების საჭირო რაოდენობები (მ.შ ქვიშა).

ამდენად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვის დროს ხდება საწვავის შემთხვევითი დაღვრა, რომლის ლიკვიდაციაც ხდება ქვიშის საშუალებით, რის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენი - ნავთობპროდუქტით დაბინძურებული ქვიშა კოდით - 16 07 08*.

[3]- საქართველოს მთავრობის 17/08/2015 №426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“;

[4]- საქართველოს მთავრობის 07/03/2016 №115 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 17/08/2015 №426 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ავტოგასამართი სადგურების სარიგებელი სვეტების ექსპლუატაციის დროს ხდება საწვავის ფილტრების შეცვლა, რის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენი - ფილტრები, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით, კოდით-15 02 02*.

ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის დროს რეზერვუარების ნაწილების უძრავი დასაშლელი შეერთების ადგილებში ბენზინზეთმედეგი შუასადებების სახით გამოიყენება აზბესტ-რეზინის ნაკეთობა (გოსტ 481-80 "პარონიტი და პარონიტის შუასადებები. ტექნიკური პირობები" და მწყობრიდან გამოსული მოცემული ნაკეთობების სახით მიიღება მყარი ნარჩენი (ასევე, ცნობილია ამ ნარჩენის შემადგენლობაც: აზბესტი-86%, რეზინი - 14%), რომლის ალტერნატიული სახელწოდებაცაა - პარონიტის ნარჩენები კოდით 16 02 12*

საწვავის გაცემის პუნქტებში წარმოიქმნება მწყობრიდან გამოსული და საექსპლუატაციო ვადაგასული, ნავთობპროდუქტებითა და მინერალური ცხიმოვანი ნივთიერებებით დაბინძურებული მყარი საწარმოო ნარჩენი რეზინის მილების სახით. მათი შეცვლა ხდება პერიოდულად, დაახლოებით 1-ჯერ 4 წელში ან/და დაზიანების შემთხვევაში. ამდენად, წარმოიქმნება ნავთობპროდუქტებითა და მინერალური ცხიმოვანი ნივთიერებებით დაბინძურებული რეზინის მილების ნარჩენები კოდით- 16 02 13*

აგს-ს დანადგარების ექსპლუატაციის დროს გამოიყენება საწმენდი ნაჭრები, რომლებიც წარმოიქმნიან ნარჩენებს - ნავთობპროდუქტით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები.

აგს-ს დანადგარების ექსპლუატაციის დროს მოსამსახურე პერსონალის მიერ გამოიყენება სპეცტანსაცმელი, როლითაც უზრუნველყოფის სარეკომენდაციო მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ.

სპეცტანსაცმლის სახეობა	გამოცვლის პერიოდულობა
საზაფხულო	1-ჯერ 2 წელიწადში
საზამთრო	1-ჯერ 3 წელიწადში
ხელთათმანები	1-ჯერ 1 კვირაში
და სხვა	

გამოცვლილი სპეცტანსაცმელისაგან წარმოიქმნება ნარჩენები - ნავთობპროდუქტით დაბინძურებული დამცავი ტანსაცმელი.

ამდენად, ნავთობპროდუქტით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრებისა და დამცავი ტანსაცმელის სახით წარმოიქმნება ნარჩენები კოდით-15 02 02*.

„ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“-ს [1] მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია რომ ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი უნდა იყოს წყალმომარაგების სისტემით და სანიაღვრე კანალიზაციით. კანალიზაციის ჭების სისუფთავეზე დაწესებულ უნდა იქნეს კონტროლი, რათა გამოირიცხოს მათი გასასვლელების დაღამვა. გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

ავტოგასამართი სადგურების პოტენციურად დაბინძურებული ტერიტორიის ზედაპირული-სანიაღვრე წყლების სანიაღვრე კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობებში ნავთობპროდუქტებისაგან და შეწონილი ნივთიერებებისაგან მექანიკური გაწმენდის დროს წარმოიქმნება ნავთობის შემცველი ნარჩენები კოდით- 16 07 08*.

საქმიანობის განხორციელების პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობისა და სახიფათოობის მახასიათებლების მიხედვით.

უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვება სახეობების მიხედვით და შესაბამის კონტეინერებში განთავსება. სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება შესაძლებელია სტაციონალურ საწყობში, რისთვისაც საჭიროა

ობიექტზე გამოიყოს სპეციალური სასაწყობე სათავსი, რომელიც მოწყობილი უნდა იქნას გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით,

ნარჩენები ადგილზე მინიმალური დროის განმავლობაში უნდა დარჩეს და რაც შეიძლება სწრაფად იქნეს გატანილი შემდგომი მართვის მიზნით.

ამდენად, საწარმოში დაგეგმილია სეპარირების სისტემის დანერგვა. საწარმოში წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო საწარმოო ნარჩენები სეპარირების შემდგომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით გადაეცემა, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მქონე კომპანიას.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე უსაფრთხოებას. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის მოწყობა, რომელიც დაფარავს ფარდულს და საოპერატორო შენობას. დამატებითი სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, დაგეგმილია ცეცხლმაქრებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსება.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის გავლენის ზონაში მსგავსი ობიექტი არ ფუნქციონირებს.

2.3. საწარმოს ფუნქციონირების რეჟიმი

საწარმო იმუშავებს შემდეგი რეჟიმით:

- წელიწადში 365 სამუშაო დღე;
- ცვლების რაოდენობა დღე-ღამეში 3;
- ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი.

2.4. საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში გამოყენებული ბუნებრივი რესურსები

საწარმო მიმდინარე საქმიანობის დროს განახორციელებს ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვასა და გაცემას (რეალიზაციას). შესაბამისად, მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ახალი პროდუქტი არ მიიღება. საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში გამოყენებული ბუნებრივი რესურსებია მიწის ნაკვეთი და წყალი.

3. დასკვნა

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება მოცემულია ქვემოთ ცხრილში 3.1.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ცხრილი 3.1. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
	დიახ	არა	
1.0. საქმიანობის მასშტაბი			
1.1. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		+	კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს ავტოგასამართი სადგურის გავლენის ზონაში მსგავსი ობიექტი არ ფუნქციონირებს, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
1.2. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		+	პროექტის განხორციელების შედეგად გამოყენებული იქნება შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს საკუთრებაში არსებული 1500.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო წყალადება განხორციელდება საკუთარი ჭაბურღილიდან, რომლის მოწყობაც დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, წყალასარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე.
1.3. ნარჩენების წარმოქმნა		+	როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა და მათი არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება. ამიტომ საწარმოში დაგეგმილია სეპარირების სისტემის დანერგვა. საწარმოში წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო საწარმოო ნარჩენები სეპარირების შემდგომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით გადაეცემა, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მქონე კომპანიას.
1.4. გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	საწარმოს მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებს და ხმაურის გავრცელებას ადგილი ექნება სამშენებლო ტექნიკის გამოყენების და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში, თუმცა საწარმოს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობის ეტაპი გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოების მცირე მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოებში მძიმე ტექნიკის და ხმაურის ემისიების

				<p>სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ინტენსიური გამოყენება არ მოხდება. ამასთან, საწარმოს მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-მოწყობის დროს ჩასატარებელი სამუშაოების მცირე მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ხანმოკლე და დროებითი ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“. ასევე, მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.</p> <p>საწარმოს საქმიანობის დროს (საწვავის მიღება, შენახვა და გაცემა) ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა ნახშირწყალბადები, როგორც ნაჯერი და უჯერი, ასევე არომატული, მათ შორის: ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი და ეთილბენზოლი. თუმცა, გათვლების მიხედვით ავტოგასამართი სადგურიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ემისები მცირე მოცულობისაა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.</p> <p>საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული და ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე ტექნიკური საშუალებები. გათვლების მიხედვით საწარმოს ოპერირების შედეგად დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე არ აჭარბებს როგორც დღის საათებისთვის დადგენილი ნორმებს (50 დბა), ასევე ღამის საათებისთვის დადგენილ ნორმებს (40 დბა).</p>
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	<p>მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა სახის ავარიის რისკები არსებობს. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს საშიში ნივთიერებების დაღვრის და ხანძრის გავრცელების რისკები. თუმცა ასეთი სახის რისკებს კატასტროფული ხასიათი არ ექნება.</p>
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	<p>საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p>
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	<p>დაგეგმილი საქმიანობიდან და დაცილების მანძილებიდან გამომდინარე შავ ზღვაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p>
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	<p>საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები</p>

2.4	დაცულ ტერიტორიებთან		+	საპროექტო საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიები განლაგებული არ არის. პროექტის განხორციელების შედეგად დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირი სახის ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	საპროექტო საწარმოს ტერიტორიისათვის უახლოესი დასახლებული პუნქტია- სოფ. თერნალი, რომელიც მდებარეობს ამ ტერიტორიის სამხრეთის მიმართულებით. მინიმალური მანძილი საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს არანაკლებ 380 მ-ს. თუმცა დაშორების მანძილის, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან, მასშტაბებიდან და დაგეგმილი საქმიანობისათვის შერჩეული ტექნოლოგიიდან გამომდინარე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს ცალკეულ რეცეპტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	ტერიტორიის შესწავლის შედეგად ხილული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები არ გამოვლენილა. ტერიტორიის მრავალწლიანი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის შესაძლებლობაც ძალზედ მცირეა. საწარმოს მშენებლობის პროცესში რაიმე არტეფაქტის გვიანი გამოვლენის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი				
3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან, მასშტაბებიდან და დაგეგმილი საქმიანობისათვის შერჩეული ტექნოლოგიიდან გამომდინარე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს ცალკეულ რეცეპტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.

4. დანართი

დანართი 4.1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 29.08.42.102

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019795758 - 26/09/2019 16:50:52მომზადების თარიღი
27/09/2019 11:10:55

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი:საკუთრება
წყალგუბო	ქ. წყალგუბო			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
29	08	42	102	დამუსტებული ფართობი: 1500.00 კვ.მ.
მისამართი: რაიონი წყალგუბო, სოფელი წყალგუბო				ნაკვეთის წინა ნომერი: 29.08.42.017;
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი N1 საერთო ფართობით- 203.9 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018983651 , თარიღი 12/11/2018 14:29:01
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/11/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:12/11/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N44031 , დამოწმების თარიღი:06/02/2019 ,სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრები:

შპს "თოფიჩი" , ID ნომერი:412733617

მესაკუთრე:

შპს "თოფიჩი"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882019795758
თარიღი 26/09/2019
16:50:52იპოთეკარი სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
საგანი:მიწის ნაკვეთი ფართობი 1500.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000380630,, დამოწმების თარიღი: 26/09/2019,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
27/09/2019

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნაბეჭდილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექსიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 4.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17141130, 28/12/2017 14:06:47

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს თოფიჩი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412733617
რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი: 28/12/2017
მარეგისტრირებელი
ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ანდრია სინაურის ქუჩა, N6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: europagege@gmail.com
ტელეფონი: 599983963

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 60001011905, კახა შენგელია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
60001011905, კახა შენგელია		100%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 4.3. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 12/02/2019 N2-03/1368 წერილი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/1368
12/02/2019

1368-2-03-2-201902121641



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
 ბატონ გრიგოლ იოსელიანს

ასლი: შ.პ.ს. „ავტოგზა ლენტეხი 99“-ის დირექტორს
 ბატონ ამირან ზურაბიანს

ასლი: უცხოური საწარმოს ფილიალის „სს ინსტიტუტი იგპ. სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ დირექტორს ბატონ რობერტ პეტროსიანს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითვალისწინებს რა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 24 იანვრის №31/320 მიმართვას, არ არის წინააღმდეგი შ.პ.ს „თოფიჩი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №29.08.42.102), რომელიც მდებარეობს, სოფელ წყალტუბოში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი) - წყალტუბო - ცაგერი - ლენტეხი - ლასდილი საავტომობილო გზის კმ7+120მ-ში, მარჯვენა მხარეს, საავტომობილო გზის ღერძიდან პირველ გასამართ სვეტამდე 20 მეტრს მიღმა, განათავსოს ავტოგასამართი სადგური და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ნაგებობა, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. ავტოგასამართი სადგურთან საავტომობილო ტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა განხორციელდეს თანდართულ სქემატურ ნახაზზე ნაჩვენები შესასვლელის და გამოსასვლელის მიხედვით, შენარჩუნებული იქნას საავტომობილო გზის გვერდული და წყალმომცილებელი საშუალებები.

მიწის ვაკისა და სავალ ნაწილზე წვიმების შედეგად ზედაპირული წყლების მოცილების უზრუნველსაყოფად ობიექტის ტერიტორიის ფარგლებში მოეწყოს წყალმომცილებელი საშუალებები.

ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორია მოშანდაკდეს ჰორიზონტალურად და მოასფალტდეს.

2. მშენებლობის პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის დგომა.

3. ავტოგასამართი სადგურის მისასვლელთან თანახმად საგზაო ნიშნების შესახებ ევროპის კონვენციისა (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ) და არსებული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, აკრძალულია ფასების მაუწყებელი და სხვა დანიშნულების სარეკლამო ფირნიშების გზის გასწვრივ მძღოლთა ყურადღების არეალის ფარგლებში განთავსება.

4. დაცული უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილება „მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნები.

5. პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნული სამუშაოები (საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი, საგზაო ნიშნების განთავსება, ტერიტორიის მოასფალტება და სხვა) უნდა შესრულდეს ავტოგასამართი სადგურის მესაკუთრის ძალეებითა და სახსრებით.

6. ავტოგასამართი სადგურის მესაკუთრემ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, არსებული სანიტარული წესების დაცვით თანამშრომლების, მგზავრების, ტურისტებისა და მძღოლებისათვის თვალსაჩინო ადგილზე თავისი სახსრებით მოაწყოს სან. კვანძები (საზოგადოებრივი ტუალეტი, წყალმომარაგება და სხვა). ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს ყურადღება მიექცეს მათი გამართული მუშაობის საკითხებს.

7. ობიექტის მეპატრონე ვალდებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის ფარგლებში, თავისი ძალეებითა და სახსრებით უზრუნველყოს სისუფთავის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა. ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პერიოდში წყალმომცილებელი საშუალებები შეინახოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.

8. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე ავტოგასამართი სადგურის და თანდართული სქემატური ნახაზით წარმოდგენილი შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის საკითხი უნდა შეთანხმდეს შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან.

9. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები (ავტოგასამართი სადგურის ადგილმდებარეობა, კმ და პკ, საავტომობილო გზის ღერძის მიმართ დაშორება, საგზაო ნიშნების განთავსება, მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება და სხვა) უნდა იყოს მკაცრად დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტოგასამართი სადგურის მოწყობასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.

10. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ობიექტის დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

12. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება ზონის მიმდინარე და პერიოდული შეკეთების კონტრაქტორ ორგანიზაციას, უცხოური საწარმოს ფილიალს „სს ინსტიტუტი იგპ. სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს მშენებლობა, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

13. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება ავტოგასამართი სადგურის სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან მიმდინარე/დასრულებული მშენებლობის შესაბამისობა.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

